

შოთა რუსთაველი

# ვეფხისტყაოსანი

ტექსტი და განმარტებები

ტექსტის კომენტარებისა და  
ანალიზიკური გზამკვლევის  
ავტორი თამაზ ვასაძე



**შოთა რუსთაველი  
ვეფხისტყაოსანი**

ტექსტი და განმარტებები

ტექსტის კომენტარებისა და ანალიტიკური გზამკვლევის  
ავტორი **თამაზ ვასაძე**

**რედაქტორები**  
**სოლომონ ნოზაძე**  
**ლელა მეტრეველი**

დიზაინი და დაკაბადონება  
**ფატი გაგულია**

ყდის დიზაინი  
**ბესო დანელია**

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2011, 2014, 2020, 2022  
ყველა უფლება დაცულია

მეოთხე გამოცემა

ISBN 978-9941-11-726-8

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, ანდრია აფაქიძის 9  
ტელეფონი 2 21 33 21

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

დასაწყისი .....	7
ამბავი როსტევან არაბთა მეფისა .....	13
როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა .....	20
ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისფყაოსნისა .....	22
თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად .....	29
წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა .....	37
ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასლვა .....	39
ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან .....	48
შეკრა ტარიელისა და ავთანდილისა .....	56
ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო .....	61
ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა .....	67
წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი პირველი .....	73
წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი .....	74
წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და კაცის გაგზავნა .....	75
ნესტანისაგან ტარიელისა ხმობა .....	76
წიგნი ხატაელთა მეფისა, ტარიელის წინაშე მოწერილი .....	77
ტარიელისა და ნესტანის პირის-პირ შეკრა .....	78
ტარიელისაგან ხატაეთს წასლვა და დიდი ომი .....	81
წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა .....	88
წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი .....	93
ტარიელის ტირილი და დაბნედა .....	94
წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი .....	95
რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა .....	96
ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა .....	98
ხვარავმშას შეიღის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლვა .....	103
ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა .....	107
ამბავი ნურაღინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელ შეეყარა .....	111
შველა ტარიელისაგან ფრიდონისა .....	114
ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა .....	116

ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა .....	124
დათხოვნა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი .....	134
ავთანდილისაგან შერმაღინის საუბარი .....	142
ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე,ოდეს გაიპარა .....	144
ლოცვა ავთანდილისა .....	149
ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა .....	150
წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ .....	153
პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა .....	159
მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა .....	166
ტარიელისაგან და ავთანდილისაგან ქვაბს მისლვა და ასმათის ნახვა .....	168
წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა .....	173
ავთანდილისაგან ფრიდონისას მისლვა, ტარიელს რომ გაეყარა .....	176
წასლვა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად და ქარავანთა შეყრა .....	185
ამბავი ავთანდილისა გულანშაროს მისლვისა .....	191
ფაფმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება .....	194
წიგნი ფაფმანისა ავთანდილთანა სამიჯნურო .....	195
წიგნი ავთანდილისა ფაფმანის პასუხად მიწერილი .....	197
ფაფმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა .....	201
ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა .....	216
წიგნი ფაფმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი .....	225
წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფაფმანთანა .....	227
წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი .....	228
წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი .....	232
წასლვა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა .....	234
ტარიელისა და ავთანდილისაგან წასლვა ფრიდონისასა .....	241
თათბირი ნურადინ-ფრიდონისა .....	244
თათბირი ავთანდილისა .....	245
თათბირი ტარიელისა .....	246
ტარიელისაგან ბლვათა მეფისას მისლვა .....	251
ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან .....	256
სამთაგანვე ქვაბსა მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა .....	261
ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან .....	270
ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა .....	275
დასასრული .....	279

## **ანალიზიკური გვამპლები**

<b>თანაზიარობა – „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული შინაარსის კომენტარები</b>	281
ნინათქმა	282
თინათინის გამეფება	283
როსტევანის სასოწარკვეთა	285
თინათინი და ავთანდილი	287
ავთანდილი უცხო მოყმეს ეძებს	290
ავთანდილის და ასმათის შეხვედრა	292
ტარიელის და ავთანდილის შეხვედრა	294
თანაზიარობა	296
ტარიელის და ნესტანის სიყვარული	298
ომი ხატაეთში, ტარიელის ტრიუმფი	302
დარბაზის სხდომა	304
ამბოხი	306
ხვარაზმელი უფლისწულის ხვედრი და ნაწარმოების კონცეფცია	311
ნესტანის გადაკარგვა	314
ტარიელი ფრიდონის სამეფოში	316
ავთანდილის დაბრუნება არაბეთში	320
ავთანდილი და ვეზირი	323
ავთანდილი და შერმადინი	327
ავთანდილის ანდერძი	329
ავთანდილის ლოცვა	334
ავთანდილის და ასმათის დიალოგი	335
ავთანდილის და ტარიელის დიალოგი	339
ავთანდილის საგალობელი	345
ავთანდილი ფრიდონის სამეფოში, შეტაკება მეკობრეებთან	347
ავთანდილი გულანშაროში	350
იდეალური და რეალური	352
ნესტანი გულანშაროში და ქაჯეთში	356
ნესტანის წერილი	363
ავთანდილის დაბრუნება ტარიელთან	367
ნესტანის გათავისუფლება	368
ნესტანის გათავისუფლების შემდეგ	370



## დასაწყისი

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
გეგარდმო არსნი სულითა ყვნა ბეცით მონაბერითა,  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

1. რომელმან – ღმერთმა. 2. ზეგარდმო – ზეციდან; ყვნა – შექმნა. 3. ქვეყანა – დედამიწა. 4. მისგან არს – მისი ნებით არის; სახითა მისმიერითა – მას მიმსგავსებული.

2

ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა განისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,  
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,  
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

1. სახე ყოვლისა ტანისა – ყველა სხეულის, მატერიის იდეალური ნიმუში, პირველსახე, პირვან-დელი ბუნება; იგულისხმება, რომ ხორციელებაც თავისი წარმომავლობით ღვთიურია, არ არის ბოროტება. 2. ძლევა მეც – მომეცი ძლევის, გამარჯვების ძალა. 3. მიჯნურთა სურვილი – სიყ-ვარულის გრძნობა; სიკვდიდმდე გასატანისა – სიკვდილამდე შესანარჩუნებლად. 4. მუნ – იმქ-ვეყნად.

3

ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,  
– მეფისა მზის თამარისა, დაწებალახშ, თმა-გიშერისა, –  
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოგბისა შერისა?  
მისთა მჭვრეცელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ მი-შერისა.

1. შიმშერი – ხმალი. 2. ტაეპი გულისხმობს, რომ „ლომი”, რომელზეც პირველ ტაეპშია ლაპარაკი, მეტაფორულად თამარის მეუღლე დავით სოსლანია; ბალახში (ლალი), გიშერი – წითელი და შავი ფერის ძვირფასი ქვები, თამარის მშვენიერების მეტაფორები. 3. მას – იგულისხმება დავით სოსლანი; შერისა – რჩეულის. 4. ყანდისა – შაქარ-ყინულის; მირთმა ხამს – მირთმევაა საჭირო; მართ მი-შერისა – მხოლოდ თაფლისგან დამზადებულის, საუკეთესოსი; ტაეპში მეტაფორულად ნაგულისხმევია: დავითის მხედველებს, ვინც მის ღირსებას უშუალოდ, საკუთარი თვალით აღიქვამს, მხოლოდ ამ ღირსების სრულყოფილად გამომხატველი, საუკეთესო ქება შეიძლება შესთავაზო.

\* „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კომენტირებისას ძირითადად გათვალისწინებულია: იუსტინე აბუ-ლაძის და აკაკი შანიძის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონები; ვუკოლ ბერიძის „ვეფხისტყაოსნის კომენტარი“; სოლომონ იორდანიშვილის მიერ შესრულებული პოემის პნეარე-დული თარგმანი რუსულ ენაზე; პოემის ნოდარ ნათაძის მიერ მომზადებული კომენტირებული გამოცემა; ალექსი ჭინჭარაულის სტატიები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის საკითხებზე.

- 4 თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
ვთქვენი ქებანი ვისწი მე არ ავად გამორჩეული.  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.
2. არ ავად გამორჩეული – არა ცუდად გააზრებული, ჩამოყალიბებული. 3. გიშრის ტბა – თამარის თვალების მეტაფორა; ნა – ძენა, ტირიფი/ლერნამი, თამარის ტანადობის მეტაფორა; ტაეპი გულისხმობს, რომ პოემის ავტორის შთამაგონებელი თამარის მშვენიერებაა. 4. გულსა ხეული – გულის გამხევი.
- 5 მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბია და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,  
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.  
გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.
1. მათად – იგულისხმება: თამარის. 3. ბროლი – კბილების მეტაფორა; ბალახში – საუკეთესო ლალი, მეტაფორულად: ბაგები. 4. ქვასაცა მაგარსა – იგულისხმება ალმასი; გრდემლი – ლი-თონის საყრდენი, რომელზეც სხვადასხვა ნივთებს ჭედავენ; ტაეპი მეტაფორულად გულისხმობს, რომ ავტორმა თავისი შემოქმედებითი მიზანსრაფულობის, მოთმიწების წყალობით შეძლო თამარის მშვენიერების გამოსახვის სიძნელისთვის თავის გართმევა, თამარის სილამაზის პოეტური გარდსახვა (ხატოვნად: ალმასის დამუშავება).
- 6 აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, –  
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;  
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,  
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება.
1. გული – ძლიერი გრძნობა, განწყობა; ხელოვანება – ოსტატობა. 4. მონება – ერთგულება.
- 7 მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არშეშრობილი;  
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!  
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,  
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიფი წყობილი.
2. მართ დაბადებით – ჭეშმარიტად, სამყაროს გაჩერის შემდეგ. 4. ან მარგალიტი წყობილი – ახლა ჰარმონიულ, ბრნყინვალე ლექსად, პოეზიად გარდაქმნილი.
- 8 ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიფი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,  
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,  
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმან ნები.
1. ნაწარმოების უცხოურ წარმომავლობაზე საუბარი იმის მიმანიშნებელია, რომ იგი საყოველ-თაო, ზოგადადამიანურ თემებს ეხება; ამავე დროს ეს ერთგარი ხერხია, რომლის მეშვეობითაც ავტორი თავს იცავს მოსალოდნელი კრიტიკისგან – მან მიწიერი, ხორციელი სიყვარული განადიდა, ამასთანავე თავისი თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების არსი თამამად გამოსახა. 2. ობოლი – იშვიათი, რეჟული. 3. საჭოჭმანები – ძნელი, ძნელად შესაბედი და ხელმოსაკიდებელი, შესასრულებელი. 4. ხელ-მქმნელმან – გამხელებელმა, შემშლელმა (თამარმა); დამმართოს... ნები – მომიწონოს, პირდაპირი მნიშვნელობით: ნება დამრთოს.
- 9 მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:  
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;

დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,  
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

1. ხელობითა – გახელებით შეპყრობილი; ამა დარი – ამნაირი, ასეთნაირი; იგულისხმება: ასეთი განწყობის კარნაზით, ამიტომ ვწერ ჩემს ნანარმოებს. 2. ჯარი სპათა – მეომართა სიმრავლე; 3. არსით – არსაიდან.

- 10 თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;  
აპა, გული გამიჯნურდა, მიჰევდომია ველთა რბენა!  
მიაჯეთ ვინ, ხორცია დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა.  
სამთა ფერთა საქებელთა ლამის, ლექსთა უნდა ვლენა.

1. უნათლოთა – დაპრმავებულს; ენატრამცა ახლად ჩენა – მონატრებია თამარის კვლავ ხილვა; ტაეპში მეტაფორულად საუბარია ახალ პოეტურ ნანარმოებში თამარის სახის ხელახალ ნარმოდგენაზე; იგულისხმება, რომ ავტორს თამარის ქება მანამდეც უთქვამს. 2. მიჰევდომია – წილად რგებია; ველთა რბენა – მეტაფორულად: დაურკებლობა, გახელება. 3. მიაჯეთ ვინ – ვინმემ სთხოვეთ ჩემთვის; ხორცია დაწვა – ხორციელი ტანჯვა. 4. ქების ღირსი სამი თავისებური, სხვადასხვანაირი გმირის (სამი რაინდი გმირის) ნარმოჩენას მიელტვიან ჩემი ლექსები.

- 11 რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:  
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;  
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,  
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.

1. მას უბნობდეს – მასზე ლაპარაკობდეს, იგულისხმება: მუდამ მას უტრიალებდეს, მასზე ფიქრობდეს. 2. მუშა – ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანი; მიწყივ – მუდამ; გულოვნობდეს – მამაცობდეს. 3. კვლა – ასევე; გამოსცნობდეს – მის ბუნებას სწვდებოდეს. 4. ტაეპი გულისხმობს, რომ სხვის სიყვარულის თავისებურების მიმართ შეყვარებული შემწყნარებელი უნდა იყოს და საკუთარი სიყვარულის თავისებურების მიმართაც შემწყნარებლობას უნდა მოითხოვდეს.

- 12 შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,  
საღმრთო, საღმრთოდ გასაყონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,  
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;  
გრძელი სიცყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

1. პოეზია თავიდანვე სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი ფორმაა. 2. საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი – ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა გამაცხადებელი და ამის შესაბამისდად აღსაქმელი. 3. კვლა აქაცა ეამების – ამის გარდა, ამასთანავე სიამოვნებას მიანიჭებს; ვარგი – ამგვარი სიამოვნების მიღების უნარის შექმნები; 2-3 ტაეპში გამოხატულია აზრი, რომ პოეზია ერთდროულად არის ადამიანისთვის სასარგებლოც – როგორც შემეცნების საშუალება – და სიამოვნების მიმნიჭებელიც. 4. ტაეპი გულისხმობს: პოეზიის ღირსება ის არის, რომ მასში დიდი სათქმელი არა ვრცელი მსჯელობით, არამედ შეკუმშულად – ხატოვნად გადმოიცემა; რომ ლექსის მეტრი – მკაცრად განსაზღვრული საზომი პოეტურ მეტყველებას შემჭიდროებულს, ჭარბისტყვაობისგან თავისუფალს ხდის.

- 13 ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,  
მობურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,  
მართ აგრევე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,  
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

1. დიდი რბევა – დიდ გზაზე ჭენება. 2. მართლად ცემა – ზუსტი დარტყმა (იგულისხმება: ჩოგნის). 3. მართ – სავსებით; ლექსთა გრძელთა თქმა – ვრცელი პოეტური ნანარმოების შექმნა; ხევა – უკან დახევა, შეჩერება (როგორც მობურთალი იხევს უკან ან ჩერდება ბურთის თამაშისას); ირონიაა გამოხატული ვრცელ ნანარმოებს იოლად და ამაოდ შეჭიდებულ ავტორთა მიმართ.

- 14 მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,  
რა ვეღარ მიჰხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა!  
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,  
ხელ – მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.
2. რა ვეღარ მიჰხედეს ქართულსა – როცა აღარ მოჰყვება სიტყვა; ძვირობა – შემოლევა. 3. არ შეამოკლოს ქართული – არ გააღარიბოს თავისი პოეტური ენა. 4. ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა – მეტაფორულად: პოეტური სიტყვა ზუსტი და ემოციურად შთამბეჭდავი უნდა იყოს; იხმაროს დიდი გმირობა – აქაც ჩანს და წინა სტროფიც მონმობს, რომ ავტორი პოეზიას რაინდულ-მხედრულ ცხოვრების წესთან და ფასეულობებთან აახლოებს – პოეზიაც ძალების დიდ დაძაბვას, დიდ შემართებას მოითხოვს.
- 15 მოშაირე არა ჰქვიან, თუ ვინმე თქვას ერთი, ორი;  
თავი ყოლა ნუ ჰქონია მელექსეთა კარგთა სწორი;  
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,  
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.
1. მოშაირე – პოეტი. 2. ყოლა – სრულიად; სწორი – ტოლი. 3. განაღა – სწორედაც რომ; შორი-შორი – ერთმანეთთან დაუკავშირებელი. 4. უცილობლობს – ჯიუტობს; სტროფში საუპარია არაპროფესიონალ მელექსებზე, ვისთვისაც პოეზია არ არის ძირითადი საქმე, თუმცა ამის მიუხედავად ისინი პრეტენზიულობით გამოირჩევიან.
- 16 მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,  
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,  
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:  
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.
1. ლექსი ცოტაი – მცირე ლექსი, ლირიკული პოეზიის ნიმუში. 2. გულისა გასაგმირეთა – ემოციურად შთამბეჭდავის, სულისშემძვრელის. 3. ბედითი – უბადრუები. 4. ხელად აქვს – მათი ხელობაა.
- 17 მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამდერელად,  
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;  
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.  
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.
1. სამლერელად – გასართობად. 2. სააშიკოდ – საარშიყოდ; სალალობოდ – სამხიარულოდ; სათრეველად – გასამასხრებლად. 3. რაცა ოდენ – ოლონდ კი რამე. 4. ტაეპი გულისხმობს, რომ ავტორი სრულფასოვნად მხოლოდ ეპიკური – ვრცელი თხრობითი უანრის ნახარმოებებს მიიჩნევს.
- 18 ხამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,  
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,  
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,  
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა - მუსიკობდეს.
1. ნაჭირვებსა – განეულ შრომას; ცუდად არ აბრკმობდეს – ტყუილუბრალოდ არ ფლანგავდეს. 2. უჩნდეს სამიჯნურო – ესახებოდეს სიყვარულის საგნად; აშიკობდეს – ეტრფოდეს. 3. ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს – მთელ თავის ოსტატობას მას ახმარდეს. 4. მისგან კიდე ნურა უნდა – მის გარდა არავინ სჭირდებოდეს.
- 19 ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;  
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;  
მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია.

1. ჩემი ან ცანით – ახლა ჩემი ამბავი შეიტყეთ. 2. მიჩს – მესახება; გამიქიქია – შემირცხვენია. 3. უწყალო ვითა ჯიქია – ლეოპარდივით უმონყალო, დაუნდობელი. 4. ქვემორე – ქვემოთ; ტაეპი გულისხმობს, რომ ნაწარმოების მთავარ პერსონაჟ ქალებს ავტორი თამარს ამსგავსებს.

20

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,

ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;

იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;

ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

1. ვილაპარაკებ უპირველეს, საუკეთესო, მთავარ სიყვარულზე, რომელიც უზენაეს, ღვთაებრივ სამყაროს ენათესავება (იგულისხმება ღმერთისადმი სიყვარული). 2. საჭირო გამოსაგები ენათა – ენით ძნელად, წვალებით გამოსახატი. 3. საზეო – ამამაღლებული. 4. ვინცა ეცდების – ვინც ამგვარ სიყვარულთან ზიარებას შეეცდება; თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა – მრავალი ტკივილის გადატანა მოუწევს.

21

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიპხვდებიან,

ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;

ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელი ხორცია ჰხვდებიან;

მართ მასვე ჰბაძავენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

1. მას ერთსა – ამ პირველ; ჭკვიანნი ვერ მიპხვდებიან – ვერ ჩაწვდებიან ადამიანები, რომლებიც ყველაფრის გონებით, განსჯით შემეცნებას ცდილობენ და სასიყვარულო სიშმაგით შესყრობილები არ არიან. 2. ენა დაშვრების – იგულისხმება: ენა დაიღლება, როცა ადამიანი ასეთი სიყვარულის შესახებ გონებისმიერ განსჯას მოჰყვება; დავალდებიან – დაიქანცებიან, შენუხდებიან ამგვარი მსჯელობის მოსმენით. 3. ვთქვნე ხელობანი ქვენანი – გამოვხატე მიწიერი, ამქვეყნიური სასიყვარულო გახელება; რომელი ხორცია ჰხვდებიან – რომელიც ხორციელი არსებისკენაა მიმართული. 4. მართ მასვე ჰბაძვენ – ჭეშმარიტად, იმ უპირველეს, საღვთო სიყვარულს ბაძავენ; თუ ოდენ – მხოლოდ თუ; არ სიძვენ, შორით ბნდებიან – ხორციელ სიამოვნებას არ ეძლევიან, ერთმანეთისთვის შორიდან კარგავენ გონებსა.

22

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა.

მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;

ბოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,

კვლა ბოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.

2. მით – იმიტომ; მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა – საყვარელი არსების მიუწვდომლობის ტკივილით. 3. ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე – ზოგი მიჯნური ღმერთთან მიახლოებას მიელტვის; დაშვრების – იქანცება. 4. ხოლო ზოგიერთი მიჯნურის ბუნების თავისებურება კი მშვენიერი მიწიერი არსებით აღფრთოვანებაა.

23

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,

სიბრძნე, სიუხვე, სიმდაბლე, სიყმე და მოცალეობა;

ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.

ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

1. თვალად – შესახედაობით, გარეგნობით; მართ ვითა – სწორედ ისეთი, როგორიც. 2. სიუხვე გულისხმობს სიმდიდრესაც; სიმდაბლე – თავმდაბლობა, მოკრძალება შეყვარებულის წინაშე; სიყმე – ახალგაზრდობა; მოცალეობა – მოცლა, ყოფით-პრაქტიკულ საზრუნავთაგან თავისუფლება. 3. ენა – მჭევრმეტყველება; დათმობა – მოთმინება, გამძლეობა. 4. ზნეობა – ღირსება.

- 24 მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;  
 მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:  
 იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შეა უზის დიდი ბლვარი,  
 ნუვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!  
 1. ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი – მშვენიერი, ძნელად შესამეცნებელი მოვლენა, ფენო-მენი. 2. სიძვა – ავხორცობა.
- 25 ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,  
 რა მოჰქონდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,  
 გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში;  
 მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში.  
 1. ხამს მიჯნური ხანიერი – მიჯნურის გრძნობა ხანგრძლივი, მყარი უნდა იყოს; მეძავი – ავხორცი. 2. რა – როცა, რომ; სულთქმა, უში – ოხვრა. 3. მიჰხვდეს – ერგოს; ქუში – პირქუში.
- 26 მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,  
 ნუცა ლხინსა აუზვავდეს, ნუცა ჭირსა შეუბარდეს,  
 მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,  
 ნურა ჰგავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს.  
 1. ელევის – შეელევა; რაცა – ვინც. 2. ნუცა ლხინსა აუზვავდეს – ნურც ბედნიერება გახდის ამპარტავანს; შეუზარდეს – შეუშინდება. 3. ველთა გამოვარდეს – ველად გაიჭრას, ანუ დათმოს შეჩერეული კეთილდღეობა, საპატიო საზოგადოებრივი მდგომარეობა და უცხო, მკაცრ ბუნებრივ თუ სოციალურ გარემოში გადაიტანოს სხვადასხვაგვარი გასაჭირი, განსაცდელი. 4. ნურა ჰგავა – არ ენალვებოდეს; სოფელიცა მისი კერძი გარადაქარდეს – თუ ამქვეყნიური სამყაროს მისი ნილი გაქრება (ანუ მოკვდება).
- 27 ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:  
 დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;  
 ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.  
 კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.  
 1. უხმობს – უნოდებს. 2. სთმობდეს გაყრისა თმობასა – იოლად იტანდეს მიჯნურთან დაშორებას. 3. მღერასა ბედითსა – ფუჭ, ცარიელ თამაშს; ვაჟთა ყმაწვილობასა – მოზარდთა ბავშვურ ქცევას. 4. იქმს სოფლისა თმობასა – წუთისოფელს, ცხოვრებას თმობს, ნირავს.
- 28 არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა, ჭირთა მალვა,  
 თავის-წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,  
 შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,  
 დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.  
 1. არს ჰქონდელი მიჯნურობა – ჭეშმარიტი სიყვარულის უპირველესი ნიშანია; არ-დაჩენა – საკუთარი გრძნობის სხვებისთვის შეუმჩევნელობა. 2. თავის-წინა იგონებდეს – განმარტოებული უნდა ფიქრობდეს შეყვარებულზე; ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა – მუდამ განმარტოებას უნდა მიელტვოდეს. 3. ბნედა – გონების დაკარგვა; დაგვა – წვა; ალვა – ალის მოდება. 4. დათმოს – აიტანოს; მოყვრისაგან – შეყვარებულისგან; კრძალვა – რიდი.
- 29 ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,  
 არ ბედითად „ჰაის“ გმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,

არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,  
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.

1. ხამს – საჭიროა; ხგაშიადსა – საიდუმლოს. 2. არ ბედითად ჰაის ზმიდეს – უბადრუკად არ მოტქვამდეს; აყივნებდეს – არცხვენდეს. 3. არსით აჩნდეს – არაფრით შეემჩნეს, შეეტყოს; არა-სადა იფერებდეს – არანაირად არ თავმომწონეობდეს თავისი სიყვარულით. 4. უჩნდეს – მიაჩ-დეს, ესახებოდეს; ცეცხლსა მოიდებდეს – მეტაფორულად: იტანჯებოდეს.

- 30 მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩივნოს?  
ამის მეტი რამცა ირგო: მას აქნოს და თვითცა ივნოს?  
რათამელა ასახელოს, რა სიგყვითა მოაყივნოს?  
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს!

1. უშმაგო – არაშმაგი, ჭკუათმყოფელი; მოყვარე გაამჩივნოს – შეყვარებულზე, მიჯნურზე უქმაყოფილოდ ლაპარაკობდეს. 2. ამის მეტი რამცა ირგო – სხვა რაღა შეიძლება იყოს მისთვის სასიკეთო. 3. რათამელა – რალათი. 4. რა ჰგავა – რატომ ეძნელება.

- 31 მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა:  
ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარი მისთვის წყლულსა?!  
თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?!  
ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

1. იფერებს – თავმომწონედ აჩენს, ამხელს. 2. აყივნებს – არცხვენს, თავს ჭრის; წყლულსა – დაჭრილს, მეტაფორულად: დატანჯულს. 3. რად არა სძულს? – რატომ გულგრილი არ არის (რატომ თავს არ ანებებს)? რაცა სძულსა – ვის მიმართაც გულგრილია.

- 32 თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;  
სიარული, მარტობა შვენის, გაჭრად დაეთვლების;  
იგონებდეს, მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლების,  
არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცსა ეახლების.  
1. ტირილსა ემართლების – ეს ტირილი ბუნებრივია. 2. გაჭრად დაეთვლების – იგულისხმება: ველად გაჭრის ტოლფასია იმ შემთხვევეში, თუ შეყვარებული საზოგადოებაში რჩება, ფიზიკურად ველად გაჭრილი არ არის. 3. ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ის იყოს მისი ფიქრის საგანი. 4. თუ კაცთა ეახლების – როცა საზოგადოებაში ცხოვრობს.

## ამბავი როსტერუან არაბთა მეფისა

- 33 იყო არაბეთს როსტერუან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,  
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი.  
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,  
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.  
1. სვიანი – ბედნიერი. 2. მაღალი – დიდბუნებოვანი, სულიერად ამაღლებული; მდაბალი – არა-ამპარტავანი. 3. მოსამართლე – სამართლიანი; მოწყალე – ლმობიერი; მორჭმული – ძლევამო-სილი; განგებიანი – განგებაზე, ღმერთის ნებაზე დამყარებული ძლიერებით აღჭურვილი. 4. უებრო – შეუდარებელი; კვლა – ასევე; წყლიანი – ენაწყლიანი.

- 34 სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული,  
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;  
მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული,  
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.
1. ძე – შვილი. 2. სოფლისა მნათი – წუთისოფლის მანათობელი; მზისაცა დასთა დასული – მზის თანმხლებ მნათობთა დასს, კრებულს შეერთებული. 3. მჭვრეტთა – მზილველებს; ნაუღის – ნარს-ტაცებს, დაუტყვევებს ხოლმე. 4. ხამს – საჭირო, აუცილებელი; ბევრად ასული – მრავალი ასეული.
- 35 მისი სახელი – თინათინ, არს ესე საცოდნარია.  
რა გაიზარდა, გაიგოსო, მზე მისგან საწუნარია.  
მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია,  
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.
2. გაიგოსო – სრულყოფილი გახდა. 3. ლალი – მზიარული. 4. ამო – თავაზიანი და თბილი.
- 36 უბრძანა: „გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:  
რა ვარდმან მისი ყვავილი ვაახმოს, დაამჭნაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;  
მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჭვრეტთ ლამესა უმთენაროსა.
1. უბრძანა – უთხრა; ერთგან – ერთად. 2. მისი – თავისი. 4. უმთენაროსა – გაუთენებელს.
- 37 „მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,  
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;  
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!  
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.
1. მე გარდასრულვარ – ჩემი ცხოვრება განვვლე, დავასრულე; ჭირთა უფრო – სხვა უბედურებებზე მეტად. 2. სოფელი – წუთისოფელი. 4. ძე – შვილი.
- 38 ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?  
ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა:  
მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა.  
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!“
1. ბერობა – სიბერე. 2. ეგრეცა – მაინც; ჯერობა – მოწონება. 3. სული – სურნელება. 4. ვითამცა – რანაირად; მტერობა – გაჯიბრება.
- 39 მაგას ნუ ჰბრძანებ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია,  
თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია;  
ხმდა განაღამცა საქმნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია:  
სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.
2. თათბირი – განსჯა, გადაწყვეტილება. 3. ხმდა განაღამცა საქმნელად – რასაკვირველია, აუცილებლად უნდა მოგვარებულიყო; გლმობია – გტკენდათ. 4. შენაფლობია – დაჯაბნილია, დამორჩილებულია.
- 40 თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;  
არ გათხევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.  
ლეპვი ლომისა სწორია, მუ იყოს, თუნდა ხვადია“.

1. მართ – ჭეშმარიტად. 2. არ გათხევთ – პირფერობით არ გეუბნებით; კვლა დია – ადრეც ბევრჯერ. 3. მზებრ განაცხადია – ელვარედ ნარმოჩენილია. 4. ტაეპი ალეგორიულად გულის-ხმობს, რომ მეფის შვილები სქესის განურჩევლად ერთმანეთის თანასწორები არიან.

- 41 ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა,  
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,  
ჯერთ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;  
მას თინათინის შვენება ჰქოლვიდის, წამწამთა ჯარისა.
1. სპასპეტი – სარდალი; ამირსპასალარი – მთავარსარდალი. 2. საროსა – კვიპაროსის; ნაზარდი – თვალტანადი. 3. სადარო – მსგავსი; მინა – მინანქარი, მინისებური გამჭვირვალე მასა, რომლი-თაც სხვადასხვა ნაკეთობებს ამკობენ; საცნობარისა – განთქმულის. 4. ჯარისა – სიხშირის.
- 42 გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;  
რა მოჰქონდის, ვერ -მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად;  
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.  
საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად!
2. ვერ-მჭვრეტელმან – ვერმხედველმა; ვარდი – მშვენიერი პირისახის მეტაფორა. 3. წყლული – ჭრილობა, მეტაფორულად: სულიერი ტკივილი.
- 43 რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,  
ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა;  
თქვა: „ბედა-ბედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,  
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემის ფერ-გამქრქალისა!“
1. რა – როცა. 2. მიჰხვდა – ელირსა; ვსება – განელება; სოქალისა – ცეცხლის ალის, მეტაფორუ-ლად: სიყვარულის სევდის. 3. ბროლ-ფიქალი – თინათინის მშვენიერი სახის და სხეულის მეტა-ფორა (ფიქალი – კრისტალი). 4. ნუთუ – იქნებ; ფერ-გამქრქალისა – სიფერმკრთალის, მეტა-ფორულად: სასიყვარულო სხეულების.
- 44 არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:  
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;  
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.  
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“
4. შემსხმელმან, შემამკობელმან – ხოტბის შემსხმელმა, მაქებარმა.
- 45 მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:  
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,  
ვაბირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;  
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „ურქმელია ფასისა!“
1. ჯარი – თავშეყრა; ხასისა – დიდებულების. 2. სპასპეტი – სარდალი. 3. მოახლე მეფისა დასთა დასისა – მრავალრიცხოვან კარისკაცთა თანხლებით. 4. საჯდომი – ტახტი; ურქმელია ფასისა – ფასდაუდებელია.

- 46** თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,  
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,  
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.  
ქალი ბრძნად უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა.  
**3.** სკიპტრა – სამეფო კვერთხი. **4.** უჭვრეტს – უყურებს, აღიქვამს; ცნობითა ზე-მხედველითა – ამალებული გონებით.
- 47** უკუდგეს და თაყვანის-სცეს მეფემან და მისთა სპათა,  
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,  
ბუკა ჰერეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა.  
ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა.  
**1.** სპათა – მოლაშერებმა. **2.** სხვაგნით სხვათა – სხვადასხვა მხრიდან ბევრმა. **3.** ბუკა ჰერეს – საყვირები აახმიანეს; წინწილანი – მუსიკალური საკრავი, ლითონის ერთმანეთზე დასარტყმელი თეფშები. **4.** ყორნისა ბოლო-ფრთათა – მეტაფორულად: წამწამებს (ბოლო – კუდი).
- 48** მამისა გახტსა საჯდომად თავი არ ედირსებოდა,  
ამად ტირს, ბადი ვარდისა ცრემლითა აივებოდა;  
მეფე სწვრთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,  
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსებოდა“.  
**2.** ამად – ამიტომ; ბადი ვარდისა – მშვენიერი პირისახის მეტაფორა. **3.** სწვრთის – შეაგონებს; ძისაგან ითავსებოდა – შვილის მიერ შეინაცვლებოდა. **4.** ცეცხლი – მეტაფორულად: წუხილი; დამევსებოდა – მიქრებოდა.
- 49** უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:  
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,  
აქათგან ესე სამეფო შენი არს მართ მონდობილი.  
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!  
**1.** უბრძანა – უთხრა; თხრობილი – საუბარი. **2.** ხმობილი – გამოცხადებული. **3.** აქათგან – დღეიდან; მართ – ჭეშმარიტად. **4.** ხარმცა – იყავი; წყნარი და ცნობილი – თავდაჭერილი და გონიერი.
- 50** ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების!  
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.  
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.  
**1.** სწორად – თანაბრად, ერთნაირად. **2.** დიდთა და წვრილთა – წარჩინებულთა და მდაბიოთა. **3.** იგულისხმება: უხვი თავაშვებულსაც იმორჩილებს, ქვეშევრდომთა ნებაყოფლობითი მორჩილება სიუხვით მიიღწევა.
- 51** მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია:  
უხვად მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ თრგულია;  
სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!  
რასაცა გასცემ, შენია; რასც არა, დაკარგულია!“

1. ვით ედემს – როგორც სამოთხის ბალში. 3. დეპა – გამოუყენებლად შენახვა, დაგროვება; რა სავარგულია – არ ვარგა. 4. იგულისხმება: შენი საკუთრება მხოლოდ ის არის, რასაც სხვების სასიკეთოდ გამოიყენებ; დანარჩენი ფუჭია, თითქოს არც არსებობს.
- 52 ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,  
ყერსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;  
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;  
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა.  
2. წვრთასა – შეგონებას. 3. მღერასა – დროსტარებას, მხიარულებას.
- 53 მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,  
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,  
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.  
მოართვეს, გასცა უბომო, უანგარიშო, ულევი.  
1. ნაერთგულევი – ერთგულებაში გამოცდილი. 2. საჭურჭლე – საგანძური; დანაბეჭდულევი – დაცული. 3. ჩემი ნაუფლისწულევი – ქონება, რომელიც თინათინს როგორც უფლისწულს ერგება.
- 54 მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჟისა მოგებულსა,  
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.  
მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,  
ჩემსა ნუვინ ნუ დამალავს საჭურჭლესა დადებულსა“.  
1. სივაჟისა მოგებულსა – მოზარდობისას, უფლისწულობისას დაგროვებულ. 2. ამოაგებს – სიმდიდრით ავსებს; მცირესა – დაბალი სოციალური მდგომარეობის მქონეს.
- 55 უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!  
ამიდახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!“  
მოიღეს, გასცა უბომო, სიუხვე არ მოსწყენია.  
ლარსა ხვეჭდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.  
1. საჭურჭლენია – განძთსაცავია. 2. ამილახორი – მეჯინიბეთუხუცესი. 3. მოიღეს – მოიტანეს.  
4. ლარსა – ძვირფასეულობას. 4. მართ ვითა – ზუსტად ისე, როგორც; მეკობრე – ყაჩალი.
- 56 ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,  
მას ფაიჭსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა;  
რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;  
არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა.  
1. ალაფობდეს – როგორც სამხედრო ნადავლს, ისე იტაცებდნენ; ვითა ნათურქალსა – როგორც თურქებისთვის ნართმეულს. 2. ტაიჭსა – საუკეთესო ცხენებს; ქვე-ნაბამსა, ნასუქალსა – საგანგებოდ მოვლილს, ნაპატივებს. 3. ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა – ციდან მონაბერ ძლიერ ქარს. 4. ყმასა – მამაკაცს.
- 57 დღე ერთ გარდახდა, პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,  
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.  
მეფემან თავი დაპკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.  
„ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?“ – შექმნეს ამისი ცილობა.  
1. გარდახდა – მიინურა. 2. მუნ – იქ; შემოყრილობა – თავშეყრა. 3. დაპკიდა – ჩალუნა; დაღრეჯილობა – უგუნებობა, დაღვრემილობა. 4. ნეტარ – ნეტავ; ამისი ცილობა – ამაზე კამათი.

- 58 თავსა გის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტაგან მოსანდომია, სპათა სპასპეცი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია; ვაზირი ბერი სოგრატი თვით მასთანავე მჯდომია. თქვეს, თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია?“.
1. თავსა – მთავარ, თვალსაჩინო ადილას; მჭრეტაგან მოსანდომია – მხილველთაოვის მიზზიდველია.
  2. სპათა სპასპეცი – ლაშქართა სარდალი; ჩაუქი – მკვირცხლი და მოქნილი, ენერგიული.
  3. ბერი – მოხუცი. 4. ფერი ჰკრთომია – ფერი წასვლია, მეტაფორულად: გუნება წახდომია.
- 59 თქვეს, თუ: „ მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა, თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“. ავთანდილ თქვა: „სოგრატ, ვჰქითხოთ, გვითხრას, რადმცა შეგვეცილა? ვჰქადროთ რამე სალალობო, რასათვისმცა გაგვაწილა?“
1. ცუდსა რასმე გონებასა – რალაც უმიზებო, აუხსნელ საგონებელში. 2. სამძიმარი – სამწუხარო, საწყენი რამ; ყოლა – სრულებით. 3. რადმცა შეგვეცილა? – რას გვერჩის (რატომ გაგვემიჯნა თავისი უგუნებობით)? 4. სალალობო – სახუმარო, სასაცილო; რასათვისმცა გაგვაწილა? – რატომ არ აგვყვება ხუმრობაში, რატომ გაგვიცრუებს იმედს?
- 60 ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა, თვითო აიგსეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა, წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინარითა. ვაზირი ლალობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა:
1. ტანითა მით კენარითა – ტანკენარი, მოხდენილი ტანის მქონე. 2. ქცევითა წყნარითა – თავ-დაჭრილად, აუჩქარებლად. 4. ლალობს ენითა – თამამად, თავისუფლად ლაპარაკობს, ხუმრობს; წყლიანად – მჭევრმეტყველად.
- 61 „დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო. მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო, ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო; ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭირით?“
1. დაგიღრეჯია – დალვრემილხარ. 2. წახდა საჭურჭლე – გაქრა ქონება, სიმდიდრე; მძიმე – დიდი. 3. საბოძვარ-ხშირი – საჩქრების უხვად გამცემი. 4. ყოლამცა მეფედ ნუ დასვი – ჯობდა სულ არ გაგემეფებინა; უგდე – მოსწიე, დამართე.
- 62 რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხედნა, გაუკვირდა: ვით მკადროთ, ან სიგყვანი ვით გაბედნა?! „კარგა ჰქენო, – დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა, – ჩემი ბრახვა სიძუნწისა, ფყუის, ვინცა დაიყბედნა! 3. ბრძანებანი უიმედნა – გამამხნევებელი სიტყვები უთხრა. 4. ტყუილებს როშავს, ვინც სიძუნის გამო მკიცხავს.
- 63 ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია: სიბერე მახლავს, დავლიერ სიყმაწვილისა დღენია, კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია. 3. სითგანცა – სადაც კი. 4. სამამაცონი ზნენია – მეომრობა, მხედრული სიქველეები.

- 64 ერთაი მივის ასული, ნაგარდი სათუთობითა;  
 ღმერთმან არ მომცა ყმა-შეილი, – ვარ საწუთოსა თმობითა, –  
 ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;  
 ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაგარდობითა“.  
 1. მივის – მყავს. 2. ყმა-შეილი – ვაჟიშვილი; ვარ საწუთოსა თმობითა – ვითმენ, ვუძლებ ამქ-  
 ვეყნად ყოფნას (წუთისოფლის ამ სასჯელს). 4. ცოტასა შემწევს – ცოტათი ჩამომგავს.
- 65 ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,  
 თავ-მოღრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,  
 თეთრთა კბილთათ გამომაკრთალსა შექსა ველად მოაფენდა.  
 მეფე ჰეთხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რად შეგრცხვენდა?“  
 1. ყმა – რანდი; ბრძანებასა – საუბარს; ლალი – ამაყი. 4. ჩემგან რად შეგრცხვენდა? – რატომ  
 გერიდება ჩემი?
- 66 კვლა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იცინი, რად დამგმეო?“  
 ყმამან ჰკადრა: „მოვახსენებ და ფარმანი მიბოძეო,  
 რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო,  
 არ გამხადო კადნიერად, არ ამიკლო ამას ბეო“.  
 1. თავსა ჩემსა – ჩემს თავს გაფიცებ; დამგმეო – გამკილე. 2. ფარმანი – ხელშეუხებლობის  
 პირობა. 4. არ გამხადო კადნიერად – თავხედობად არ ჩამითვალო.
- 67 უბრძანა: „რადმცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა!“  
 ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.  
 ავთანდილ იტყვის: „დავიწყო კადრება საუბნარისა:  
 ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.  
 1. უთხრა: როგორ ვიწყენ შენს თუნდაც მართლა საწყენ სიტყვებს. 2. მოწუნარისა – დასაწუნად  
 მქევევლის. 3. საუბნარისა – სათქმელის. 4. თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა – თავშეკავებულად  
 ლაპარაკი ჯობს.
- 68 მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია;  
 ნაძლევი დავდგათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე ყმანია;  
 მოასპარებედ ვინ მგაქსო? – ცუდნილა უკუთქმანია.  
 გარდამწყველელი მისიცა ბურთი და მოედანია!“  
 1. მინაცა თქვენი – თქვენი ფეხის მტვერი; ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია – ავთანდი-  
 ლის სახით თქვენს წინაშე ძლიერი მშვილდოსანია. 2. მოვასხნეთ – მოვიყვანოთ; ყმანია – ქვე-  
 შევრდომები. 3. მოასპარებედ – ვაჟკაცობით, მეომრობით; ცუდნილა უკუთქმანია – ვეღარ  
 მოახერხებ საკუთარი სიტყვების უკან წალებას. 4. მისიცა – ამ მეტოქეობის.
- 69 მეფე ლალი და წყლიანი გამხიარულდა მეფად-რე,  
 სიცილით უთხრა ავთანდილს: „შვილად გბრდი, მით შე-ვე-მკადრე;  
 იცი, არ გიწყენ, გაზრდილო, მით შემომიხე ბედად-რე,  
 თუ არ გასწილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედად-რე.  
 1. ლალი და წყლიანი – მხიარული და ხალისიანი. 3. მით შემომიხე ზედად-რე – ამიტომ შემომი-  
 ტიე. 4. არ გასწილდე – ხელი არ მოვეცარება; ბედი გეყოფის ბედად-რე – ბედი გქონია, იღ-  
 ლიანი ყოფილხარ.

- 70 მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა.  
ბრძანე, ვისროლოთ, ნუდა იქმ შეღრუეკილობა-კლებასა,  
კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,  
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!“  
1. დაცილებასა – გაჯიბრებას. 2. ბრძანე – წამობრძანდი; შედრეკილობა-კლებასა – უკან დახე-  
ვას. 3. ყმათასა – მეომრების; ხლებასა – თანხლებას. 4. ვისძი უთხრობდეს – თუ ვის ეტყვიან.
- 71 ავთანდილცა დამორჩილდა, საუბარი გარდასწყვიდეს,  
იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს,  
ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:  
„ვინცა იყოს უარესი, თაგ-შიშველი სამ დღე ვლიდეს!“  
1. საუბარი გარდასწყვიდეს – მსჯელობა დაასრულეს. 2. ყმაწვილობდეს – ახალგაზრდულად  
მხიარულობდნენ; ზმიდეს – ენამახვილობდნენ. 3. გააჩინეს – დადეს; ამა პირსა დაასკვნიდეს –  
ასეთი პირობა დათქვეს.
- 72 კვლა ბრძანეს: „მონა თორმეფი შევსხათ ჩვენ თანა მარებლად,  
თორმეფი ჩემდა ისრისა მომრთმევლად, მოსახმარებლად, –  
ერთაი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად, –  
ნასროლ–ნაკრავსა სთვალვიდენ უჟყვერად, მიუმცდარებლად“.  
1. ბრძანეს – თქვა (იგულისხმება როსტევანი, რომელზეც როვორც მეფეზე მოწინების ნიშნად  
მრავლობით რიცხვშია ლაპარაკი; ასეთი რამ ხშირია ნაწარმოებში); შევსხათ – ცხენებზე შევს-  
ვათ; მარებლად – მოსიარულედ. 3. არს მათად დასადარებლად – მათი ტოლფასია. 4. ნაკრავს –  
მიზანში მონახვედრს.
- 73 მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,  
დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არენით“.  
ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდით და მოიჯარენით“.  
გაყარეს სმა და ნადიმი. მუნ ამოდ გავიხარენით.  
2. დასცევით – მორეკეთ, ერთად თავმოყრილები იყოლიეთ; თავნი ... არენით – იარეთ, იმოქმე-  
დეთ. 3. სამზოდ აწვივნეს – სამზერლად, საყურებლად მიიწვიეს. 4. გაყარეს – შეწყვიტეს; მუნ –  
იქ; ამოდ გავიხარენით – მშვენივრად მოვილხინეთ.
- 74 დილასა ადრე მოვიდა იგი ნაბარდი სოსანი,  
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ–ბალახშოსანი,  
პირ-ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი,  
მეფესა გასლვად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი.  
1. ნაზარდი სოსანი – შროშანივით, სწორლერიანი ყვავილივით მოხდენილი აღნაგობის. 2.  
ძოწეულითა – წითელი ფერის სამოსით; პირად ბროლ–ბალახშოსანი – ბროლის და ბალახშის,  
ანუ საუკეთესო ლალის მსგავსი პირისახის მქონე. 3. პირ-ოქრო რიდე – მოოქროვილზედაპი-  
რიანი თავმოსასხამი; შვენოდა ქარქაშოსანი – მშვენიერი იყო ქარქაშით – ხმლით შემცული. 4.  
გასლვად აწვევდა – წასასვლელად იწვევდა; თეთრტაიჭოსანი – თეთრცხენიანი.